



საერთაშორისო ოჯახობრივი  
პროგრამებიდან დახმარება  
ფიზიკურ, პსიქოლოგიურა და  
სოციალური მდგომარეობის



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



# ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა

## პროექტი:



## ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა

ხანგრძლივობა: 2019 - 2021

დონორი:  ევროკავშირი

## ძირითადი მიზანი:

სამწლიანი ინიციატივა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის განვითარებაში და ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული მომსახურებების ჩამოყალიბებაში საქართველოს მთავრობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. მასშტაბური პროექტის განხორციელების პროცესში World Vision - საქართველო მჭიდროდ ითანამშრომლებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, ასევე ასოცირებულ პარტნიორებთან - საქართველოს საპატრიარქოს სოციალურ დეპარტამენტსა და სახალხო დამცველის აპარატთან.

## პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

- სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ოჯახზე დაფუძნებული ალტერნატიული მომსახურებების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის გაძლიერება და ბავშვზე ზრუნვის დანერგულებების სახელმწიფო რეგულირების ჩარჩოში მოქცევა;
- სოციალურ მუშაკთა სახელმწიფო სისტემის გაძლიერება ;
- კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვეწა ბავშვთა დაცვის პოლიტიკის მიმართულებით.

## სამიზნე შედეგები:

**250 სოციალური მუშაკი**, სოციალური მომსახურების სააგენტოდან;

**130 თანამშრომელი**, 69 მუნიციპალიტეტის სოციალური დეპარტამენტიდან;

**500 მიმღები ოჯახი**, საქართველოს მასშტაბით;

**1600 ბავშვი**, დიდი ზომის ბავშვთა სამზრუნველო დანერგულებიდან;

**45 ბავშვი**, კოტრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლიდან;

**45 თანამშრომელი**, საპატრიარქოს და სხვა არა რეგულირებადი ინსტიტუტებიდან.

პროექტი სახელმწიფო, არასამთავრობო სექტორის და საქართველოს საპატრიარქოს ნების და ძალისხმევის გაერთიანებას საჭიროებს და ემსახურება ყველაზე მონაცვლადი და დაუცველი ბავშვების და ოჯახების ცხოვრების ხარისხის და კეთილდღეობის გაუმჯობესებას.



World Vision-ი ერთ-ერთი წამყვანი ბავშვთა უფლებებზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციაა საქართველოში. ქვეყანაში ჩვენი 20 წლიანი მუშაობის განმავლობაში, ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩართული ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის გაძლიერებაში და ბავშვებისათვის ჯანსაღი და აქტიური საზოგადოების შექმნაში, რომელიც ინკლუზიური და ტოლერანტულია.



საჯანდაცო და შრომის  
დაცვის მინისტრის  
სამსახური



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



# ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა



**REINFORCING  
THE CHILD WELFARE AND  
PROTECTION SYSTEM  
IN GEORGIA**